მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

მარტი (ადარი II) №3 (389) (5774) 2014

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

16-17 მარტი - ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების დღესასწაული - ფურიმი

გაიმართა ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური ასამბლეა. კონგრესის პრეზიდენტად არჩეულია იულუს მაინლ მე-V

იხ. მე-2 გვერდი —»

მიხეილ მირილაშვილის დიდი აღიარება

ამას წინათ ისრაელის დედაქალაქში ერთობ საინტერესო და საქართველოს ებრაელობისათვის ფრიად საგულისხმო საზეიმო ცერემონიალი გაიმართა — 5 თებერვალს სასტუმროში „კერენ პლაზა“ ცნობილ ბიზნესმენსა და ფილანთროპს მიხეილ მირილაშვილს გადაეცა ერთობ პრესტიჟული ჯილდო — იერუსალიმის პრემია. ქართველ ებრაელობაში ამ გამორჩეულ პიროვნებას — მიხეილ მირილაშვილს — ეს დიდი პრემია გულუხვი და გააზრებული საქველმოქმედო მოღვაწეობისათვის მიენიჭა. ამ პრემიას ანიჭებს იერუსალიმის მუნიციპალიტეტი გამოჩენილ მეცნიერებს, ხელოვნების მუშაკებს, ბიზნესმენებს. მიხეილ მირილაშვილისათვის ამ პრემიის მინიჭება გახლავთ კიდევ ერთი აღიარება მისი ფართო საზოგადოებრივ-ფილანთროპული მოღვაწეობისა.

გაზეთ „მენორას“ რედაქცია ქართველი ებრაელობის ამ ღირსეულ წარმომადგენელს გულითადად ულოცავს ასეთ აღიარებას და უსურვებს შემდგომ წარმატებებს, როგორც ბიზნესში, ასევე საქველმოქმედო საქმიანობაში.

მსოფლიოს ებრაული კონგრესის პრეზიდენტს ბ-ნ რონალდ ლაუდერს



მვირფასო ბატონო რონალდ!

გულითადად გილოცავთ თქვენი სიცოცხლის 70-ე გაზაფხულს. თქვენ წილად გხვდათ დიდი მოვალეობის აღსრულება - ეოველდღიურად ისმენდეთ ებრაელი ხალხის მაჯისცემას და დგამდეთ შესაბამის ნაბიჯებს ერის საკეთილდღეოდ.

ერის წინამძღოლობა ის ფასეულობაა, რომელიც ადამიანის პასუხისმგებლობის გრძნობასაც უმძაფრებს და ბედნიერებასაც ანიჭებს. ასეთ ადამიანს ღმერთი გამო

არჩევს. ის, რომ თქვენ მსოფლიოს ებრაელობის წინამძღოლი ხართ, ღვთის ნებაა. ამიტომ უზენაესს ვთხოვ მოგცეთ ძალა, ჯანმრთელობა, რომ გამკლავებოდეთ იმ პრობლემებს, რომლებიც დღეს ებრაელი ერის წინაშე დგას.

კავკასიური დღეგრძელობა, ბატონო რონალდ!

ღრმა პატივისცემით გურამ გათიაშვილი
საქართველო, მწერალი,
მსოფლიოს ებრაული კონგრესის
ვიცე-პრეზიდენტი

ებრაელი ბიზნესმენები თბილისში

9 მარტს თბილისში ისრაელელი ბიზნესმენისა და ფილოანტროფის მიხეილ მირილაშვილის მეთაურობით ჩამოვიდა სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწე ებრაელ ბიზნესმენთა ჯგუფი. თბილისში ჩამოვიდნენ: **მიხეილ მირილაშვილი, იცხაკ მირილაშვილი, დავით ფატალი** (სასტუმროების ინდუსტრია), **მოშე ლიტვაკი** (მრეწველობა, ინფრასტუქტურა), **ამიხაიმ შორერი** (ტელეკომუნიკაციები), **ნისიმ ბენდავიდი** (სანავსადგურო ინფრასტრუქტურა), **მოშე თერი** (ენერგეტიკა), **აბრამ ნანიკაშვილი** (ენერგეტიკა), **დავით ფრაგი, ზოჰარ საფირი, თემურ ხიხინაშვილი, აჰარონ ფრენკელი, იციკ თშუვა** (ენერგეტიკა, უძრავი ქონება), **შალომ შიმონი, შარონ კედმი** (სოფლის მეურნეობა).

10 მარტს საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** მინისტრთა კაბინეტში შეხვდა ებრაელ ბიზნესმენებს.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ სოფლის მეურნეობის მინისტრი **შალვა ფიფია**, ფინანსთა მინისტრი **ნოდარ ხადური**, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი **დავით ნარმანია**, საინვესტიციო საგენტოს ხელმძღვანელი **გიორგი პერტაია**.

ქართულმა მხარემ სტუმრებს საქართველოში არსებული ბიზნესგარემო გააცნო. ბიზნესმენებს სიტყვით მიმართა საქართველოს პრემიერ–მინისტრმა:

„დარბაზში ვხედავ ნაცნობ სახეებს, იმ ხალხს, რომლებიც იერუსალიმში გამართული შეხვედრების დროს გავიცანი. მიხარია, რომ დღეს გმასპინძლობთ მრგვალი მაგიდის ფორმატით გამართულ ბიზნესშეხვედრაზე. მადლობას მოგახსენებთ, რომ დაინტერესდით საქართველოთი. ბატონებო, გაჩნდა იდეა, რომ დავაარსოთ ისრაელისა და საქართველოს ბიზნესსაბჭო. ეს ხელს შეუწყობს ბიზნესებს შორის ურთიერთობას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს თანამშრომლობის გაღრმავებას ჩვენს ქვეყნებს შორის.

მიმაჩნია, რომ საქართველოსა და ისრაელს შორის სავაჭრო და საინვესტიციო შესაძლებლობები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ ათვისებული. ასე რომ, გამოვთქვამ იმედს, რომ ასეთი პოზიტიური ნაბიჯები დააჩქარებს პროცესებს უახლოეს მომავალში.“ — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ებრაელ ბიზნესმენებთან შეხვედრაზე.

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური ასამბლეა

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა ვადიმ შულმანმა გასული წლის დასასრულს გადადგომა ითხოვა — კონგრესის პრეზიდიუმისა და გენერალური საბჭოს წევრებისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნა, რომ ბიზნესით ერთობ დაკავებულია და ვეღარ ახერხებს კონგრესს სათანადო დრო დაუთმოს. ბ-ნი შულმანის თხოვნა გადადგომის თაობაზე დაკმაყოფილებული იქნა.

ევრაზიის ებრაელთა კონგრესს დროებით სათავეში ჩაუდგა კონგრესის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ბიზნესმენი და, გამოჩენილი ფილანტროპი მიხეილ (მიხო) მირილაშვილი. მომავალი პრეზიდენტის ასარჩევად გენერალური ასამბლეა სწორედ მიხო მირილაშვილის ხელმძღვანელობით მომზადდა.

და აი, 16 თებერვალს იერუსალიმში, სასტუმრო „დან იერუშალაიმში“ გაიხსნა ევრაზიის ებრაელთა კონგრესის მორიგი გენერალური ასამბლეა. გენასამბლეის დელეგატებს (ცნობილია, რომ ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესი ამ ორი კონტინენტის ოცზე მეტი სახელმწიფოს ებრაელობას აერთიანებს), სტუმრებს შესავალი სიტყვით მიმართა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა მიხეილ მირილაშვილმა. მოკლე სიტყვაში მიხეილ მირილაშვილმა ისაუბრა კონგრესის როლზე ორი კონტინენტის ებრაელთა ცხოვრებაში, იმ დიდ პასუხისმგებლობაზე, რომელიც ახლადარჩეულ პრეზიდენტს, გენსაბჭოს დაეკისრება.

გენასამბლეის გახსნისას პრეზიდიუმში წარმოდგენილი გახლდნენ, ვიცე-პრეზიდენტები მარკ შაბადი, გერმან ზახარიაევი, გაბრიელ მირილაშვილი, მერაბ ელაშვილი

გენერალური ასამბლეის მონაწილეებს პირველსავე დღეს მიესალმნენ და კონგრესის ამოცანებზე ისაუბრეს ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ზეევ ელკინმა,ქნესეთის ალიისა და აბსორბციის კომიტეტის თავმჯდომარემ იოელ რაზვოზოვმა„,კერენ აიასოდის“ თავმჯდომარემ რონი ვინიკოვმა, აშშ ძირითად ებრაული ორგანიზაციების პრეზიდენტთა საბჭოს თავმჯდომარემ რობერტ ცუგერმანმა და აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა ჰენლაინმა,რუსეთის ებრაული კონგრესის ვიცე-პრეზიდენტმა ბენი ბრისკინმა.

გენერალურმა ასამბლეამ აირჩია მზრუნველთა საბჭო, რომელიც შესდგება 14 ბიზნესმენისაგან.

კონგრესის პრეზიდენტის თანამდებობაზე დასახლებული გახლდათ ერთი კანდიდატურა — Julius Meinl AG и Meinl Bank-ის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარე, ცნობილი მეწარმე და ფილანტროპი იულიუს მაინლი V, რომელიც ერთხმად იქნა ქრჩეული კონგრესის პრეზიდენტად მსოფლიოს ებრაულ კონგრესში იგივე წარადგენს ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესს, როგორც მუდმივი წევრი.

პრეზიდენტმა იულიუს მაინლმა კონგრესის ხაზინადარად მატვეი გუტმანი წარადგინა. ეს კანდიდატურა გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული იქნა.

პრეზიდენტად არჩევის შემდეგ თავის გამოსვლაში იულიუს მაინლ მეV-მ თქვა:

—ადრეულ წლებში ევრ-აზიის ებრაელობის ხმა ამ რეგიონიდან შორს ისმოდა,მეორე მსოფლიო ომის საშინელი ტრაგედიის შემდეგ კი ეს ხმა სამწუხაროდ, მინელდა. რეგიონის ბევრი ებრაული თემი საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში მოექცა და „მდუმარე ებრაელობად“იქცა, მაგრამ დღეს ევრ-აზიის ქვეყნების ებრაელობის ხმა კვლავ გაისმის და ქვეყნიერებას აუწყებს თავის გასაჭირსა და მისწრაფებებზე. მე განზრახული მაქვს ენერგიულად ვემსახურო ევრ-აზიის ებრაელობის მსოფლიოს ებრაელობის თანამეგობრობაში რეინტეგრაციის საქმეს. რასაკვირველია, ყოველი ებრაული თემისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ტრადიციის შენარჩუნება, ებრაული აღზრდა-განათლება, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იქნას ამ თემების მსოფლიო ებრაულ სტრუქტურებში წარმომადგენლობა, და არა მხოლოდ— რეგიონის ქვეყნების ებრაელობას იმ ქვეყნების ხელმძღვანელობისა და ხალხის წინაშეც უნდა ჰყავდეს წარმომადგენლობა, რომლებშიც ისინი ცხოვრობენ. მე ამაში ვხედავ არა მხოლოდ უბრალო სოლიდარობას, არამედ ისრაელისადმი მსოფლიო მხარდაჭერის, უმიზეზო ცილისწამებისა და დელეგიმიზაციის ცდებისაგან დაცვის საშუალებას.

განვლილი ათი წლის განმავლობაში ევრ-აზიის კონგრესი ძლიერი, ორგანიზებული ებრაული სტრუქტურა გახდა ვეცდები მიღწეული კიდევ უფრო გავაძლიერო. ჩვენ გავაგრძელებთ ამ გზით სვლას.

17 თებერვლის გალადინერზე კონგრესის მუშაობას მიესალმნენ მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი რობერტ ზინგერი, ისრაელის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ფაინა კირშენბაუმი, სოხნუთის თავმჯდომარე ნათან შარანსკი,. ისრაელის პრეზიდენტის თანაშემწემ იორამ დორიმ წაიკითხა პრეზიდენტ შიმონ პერესის მისალმება

იულიუს მაინლ მე-V დაიბადა 1959 წლის 9 ივლისს ავსტრიაში შთამომავლობითი მეწარმეების ოჯახში, დაამთავრა სენტ-გალენსკის უნივერსიტეტი (შვეიცარია) ეკონომიკისა და ფინანსების სპეციალობით.

იულიუს მაინლ V ეწევა აქტიურ საქველმოქმედო საქმიანობას, მხარს უჭერს ავსტრიის ებრაულ სათემო სტრუქტურებს, ლაუდერის სამეწარმეო სკოლას ვენაში, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ეხმარება ებრაულ თემებს, თუ იქ არსებობს Meinl Bank ..

ეაეკ-ის პრეზიდენტი
იულუს მაინლ მე-V

გენერალურმა ასამბლეამ ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გენერალურ მდივნად დაამტკიცა პროფესორი **მიხეილ ჩლენოვი**, ხოლო გენერალური საბჭოს თავმჯდომარედ — **იოსებ ზისელსი**. ახლად არჩეული გენერალური საბჭოს წევრები გახდნენ: მწერალი **გურამ ბათიაშვილი**, სემკ-ის საქართველოს წარმომადგენლობის წევრი **ბორის თეთრუაშვილი** და ებრაული სახლის კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის დირექტორი **ელენე ბერკოვიჩი**. სემკ-მა გენერალურ საბჭოში თავის წარმომადგენლად წარგზავნა კონგრესის პროგრამების დირექტორი პროფ. დავით ბააზოვი.

გენერალური ასამბლეის ეგიდით მუშაობდა ახალგაზრდული სექცია. საქართველოდან წარმოდგენილი გახლდნენ ნათან თაფლიაშვილი და დათო იოსებაშვილი.

არიელ შარონის ხსოვნა

დიდი მხედართმთავრისა და პოლიტიკოსის ცხოვრების ამსახველი გამოფენა თბილისში

26 თებერვალს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დიდძალი ხალხი შეიკრიბა – აქ იყვნენ როგორც ქართველები, ისე ებრაელები.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ, საქართველში ისრაელის საელჩომ და საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოებამ ეროვნული ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში გამართა გამოჩენილი მხედართმთავრის არიელ შარონისადმი მიძღვნილი გამოფენა, იდეის ინიციატორი ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა გახლდათ.

დარბაზში შესული მაყურებელი ნახავდა თანამედროვე ისრაელის, არიელ შარონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის – როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური პირის, ფოტომასალას, აქ იყო არა მხოლოდ საქართველოში მისი სტუმრობის, ქართველ საზოგადო, პოლიტიკურ მოღვაწეებთან შეხვედრების ამსახველი მასალები, არამედ ამ გამოჩენილი პირის ოჯახური ყოფის დამადასტურებელი რელიკვიები. ჩანდა, რომ გამოფენის მომწყობს – თამარ ჭყონიას ენერგია არ დაუზოგავს, რათა აუდიტორია კარგად გასცნობოდა ისრაელის ამ გმირის მოღვაწეობას და ცხოვრებას.

საღამო გახსნა მარიამ ჭყონიამ, რომელმაც სიტყვა ეროვნული ბიბლიოთეკის გერნერალურ დირექტორს, პოეტ გიორგი კეკელიძეს გადასცა.

გიორგი კეკელიძე გულითადად მიესალმა დიდ დარბაზში შეკრებილ სტუმრებს, ისაუბრა ქართულ-ებრაულ ურთიერთობაზე, შეჩერდა ამ ურთიერთობის არსებით მხარეზე და მაღალი შეფასება მისცა არიელ შარონის როლს თანამედროვე ისრაელის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მისი საზღვრების უსაფრთხოებასა და სახელმწიფოებრივი მთლიანობის შენარჩუნების საქმეში.

ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბ-ნი იუვალ ფუქსი გამოსთქვამს მადლიერების გრძნობას იმის გამო, რომ თბილისში ეწყობა ასეთი ფართო გამოფენა ისრაელის ეროვნული გმირის, პოლიტიკური მოღვაწის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. მან ვრცლად ისაუბრა არიელ შარონზე.

ეს იყო ერთობ დამოუკიდებელი პიროვნება, ლიდერი, რომელიც ზოგჯერ არაპოპულარულ, მაგრამ ქვეყნისათვის ძლიერ საჭირო ნაბიჯებს დგამდა, მან კარგად იცოდა, რა სჭიროდა ისრაელს. ეს იყო მშვიდობა, და ის ეძებდა მეზობლებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების გზებს. გენერლის, სამხედრო მოღვაწის ქმედებებს ისრაელის თავდაცვისა და უშიშროების განმტკიცებისათვის ბევრი ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ დრომ, მოვლენების განვითარებამ გვაჩვენა, რომ იგი არ სცდებოდა. სამწუხაროდ, მას არ დასცალდა თავისი გეგმის სრულად განხორციელება..

საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი იხსენებს არიელ შარონის სტუმრობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, როცა იგი უნივერსიტეტის ეზოში მიმოდიოდა, რათა შეეგრძნო უნივერსიტეტის ეზოში, თუ როგორ გაიცნო მისმა მამამ მისი დედა – დვორა.

ბ-ნი რ. მეტრეველი მაღალ შეფასებას აძლევს არიელ შარონის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მის ბრძოლას ისრაელის დამოუკიდებლობისათვის და იხსენებს ისრაელის პოლიტიკურ მოღვაწეებთან შეხვედრებს.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საქველმოქმედო ფონდის თავმჯდომარე, ისრაელში საქართველოს ყოფილი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი – ლაშა ჟვანია იგონებს არიელ შარონთან შეხვედრებს.

– მაშინ ჯერ კიდევ ისრაელში საქართველოს კონსული ვიყავი. გურამ ბათიაშვილმა მთხოვა დავხმარებოდი დოკუმენტური ფილმის „დაგვიანებული კადიში“-ს გადამღებ ჯგუფს არიელ შარონთან ურთიერთობის საქმეში მის ოჯახში გადაღების დღეს. ჩვენ, მთელი დღე ვიღებდით არიელ შარონის რანჩოში მასთან საუბარს, მის ოჯახურ გარემოცვას და გავიცანით ერთობ საინტერესო პიროვნება, პიროვნება, რომელსაც არა მხოლოდ ძლიერ უყვარდა თავისი სამშობლო, არამედ ეძებდა მისი მშვიდობიანი ცხოვრების გზებს. სწორედ იმ დღეს გვითხრა ბ-ნმა შარონმა, რომ მისი დედა სოფელ მალალში პალესტინელი ტერორისტების თავდასხმას ქართული ხანჯლით იგერიებდა.

შემდეგ ლაშა ჟვანია იხსენებს არიელ შარონთან უკვე ელჩის რანგში შეხვედრის დეტალებს.

ცნობილია, რომ არიელ შარონის ბებია – სლავა იოსების-ასული შნეეროვა, თბილისში გახლავთ დაკრძალული. გამოჩენილი ისრაელელი მხედართმთავარი დიდხანს ოცნებობდა მისულიყო თავისი ბებიის საფლავთან. ეს ფაქტი დაედო საფუძვლად მერაბ კოკოჩაშვილის დოკუმენტურ ფილმს „დაგვიანებული კადიში“, რომელიც გურამ ბათიაშვილის იდეითა და სცენარით შეიქმნა.

რუსთაველის პრემიის ლაურეატი, კინორეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი ლაპარაკობს არიელ შარონის რანჩოში გატარებულ იმ დღეზე, როცა კინოგადაღებისას ასე ახლოს და კარგად გაიცნეს ისრაელის იმდროინდელი პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი, მაღალ შეფასებას აძლევს მის ღვაწლს ისრაელის სამხედრო ძლიერების საქმეში, მადლიერების გრძნობით იგონებს ისრაელის ქართული ტელევიზიის „ჩვენი არხი“-ს მესვეურთა დახმარებას, რომელიც ფილმის გადაღებისას გაუწია გადამღებ ჯგუფს.

გურამ ბათიაშვილის იდეა იყო შარონის ბებიის მაგალითზე გადაგვეღო ფილმი ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტულ ებრაელთა საფლავებზე და იმაზე, თუ როგორ ეძებენ ებრაელები თავიანთი წინაპრების საფლავებს, რათა კადიში – სულისმოსახსენებელი ლოცვა აღუვლინონ განსვენებულთ. ჩვენ ამ საქმეს შევეჭიდეთ და ვგონებ, კარგად დავძლიეთ იგი.

მსოფლიოს ებრაული კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი, მწერალი, გურამ ბათიაშვილი იგონებს არიელ შარონთან შეხვედრებს, მაშინ როცა იგი სცენარზე მუშაობდა. ეს ის პერიოდია, როცა დასავლეთის პრესა ერთობ ნეგატიურად აფასებდა შარონის პოლიტიკურ მოღვაწეობას, იმის გამო, რომ იგი უკომპრომისო იყო იასერ არაფატთან მიმართებაში.

– ჩვენ, გადამღებ ჯგუფს გვჯეროდა ამ პიროვნების სიმართლის და ამგვარი პროპაგანდა ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენდა ჩვენზე.

კარგად მახსოვს, ერთხელ ქნესეთში, მის კაბინეტში ვსაუბრობდით, ამ საუბრისას მე შევიცანი მისი სათნოება, ადამიანური ბუნება. ჩვენი საუბრისას ორჯერ დარეკა მისმა მეუღლემ ლილიმ, რომელიც იმჟამად მძიმედ გახლდათ დაავადებული. მათ სატელეფონო საუბარში მე ვგრძნობდი შარონის სულიერებას.

საღამოზე მომღერალმა მარიკა მირველაშვილმა შეასრულა ებრაული სიმღერა.

დასასრულს ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი „დაგვიანებული კადიში“, რომელიც მაყურებელმა ერთობ გულთბილად მიიღო.

საიდუმლო არქივიდან

ქართველი ებრაელობის განცხადება

მხოლოდ პირადად
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს
ამხანაგ გ.მ.მალენკოვს
ასლი:
სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილეს და შინაგან საქმეთა მინისტრს
ამხანაგ ლ.პ.ბერიას
სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს
ამხანაგ ნ.ს. ხრუშჩოვს
სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარეს
ამხანაგ კ.ე.ვოროშილოვს
საქართველოს ცკ კპ მდივანს
ამხანაგ ა.ი. მირცხულავას
საქ.სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს
ამხანაგ ვ.მ. ბაქრაძეს

1953 წლის 4 აპრილს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ გაზეთებში, რომლებშიც ორთვენახევრით ადრე, გამოქვეყნდა ინფორმაცია „ექიმ-მავნებლების“ დაპატიმრების შესახებ, გამოჩნდა მოწინავე სტატია „საბჭოთა სოციალისტური კანონიერება ხელშეუხებელია“. აქვე იყო მოკლე ინფორმაცია ექიმების პატიმროებიდან განთავისუფლების შესახებ. იტყობინებოდნენ, რომ ექიმთა საქმე იყო ფალსიფიცირებული რიგითი შემსრულებლების - პოლკოვნიკ რიუმინის ტიპის გამომძიებლების მიერ. ეს პოლკოვნიკი 1951-1952 წლებში „ებრაელთა საქმესთან“ დაკავშირებულ ბრალდებულებს მხეცურად აწამებდაო და რომ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები შეცდომაში იყვნენ შეყვანილნი.

საბჭოთა ებრაელთათვის ეს დღე დღესასწაულად იქცა. მაგრამ, როდესაც პირველმა სიხარულმა გაიარა, ისინი დაფიქრდნენ იმაზე, რომ კარგი იქნებოდა მოეთხოვათ 1953 წლის დასაწყისში ჩამორთმეული სინაგოგების დაბრუნება და ოფიციალური პირების მიერ ბოდიშის მოხდა იმ დევნის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმ წლებში. სამწუხაროდ, ასეთი წერილი არც ერთი რესპუბლიკის ებრაელობას არ დაუწერია — მხოლოდ ქართველმა ებრაელობამ გაბედა საბჭოთა ხელისუფლებისათვის მოეთხოვა სამართლიანობის აღდგენა. მათი წერილი სსრკ და საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში ქვემოთ არის მოყვანილი.

მაღალი ხელმძღვანელი პირების კონკრეტული რეზოლუცია ჩვენთვის უცნობია, მაგრამ 1955 წლის დასაწყისში ებრაელებს დაუბრუნეს ჩამორთმეული სინაგოგების უმრავლესობა (თუმცაღა, მაშინდელი მოხელეების მექრთამეობის გამო, სინაგოგების უმრავლესობა ფაქტიურად 1953 წლის აპრილიდან მოქმედებდა), მაგრამ დევნისათვის მათთვის ბოდიში არავის არ მოუხდია, ისევე როგორც არავინ არ დასჯილა ამისათვის.

სსრკ მთავრობის და პარტიის პატივცემულო და ძვირფასო ხელმძღვანელებო. გადაგვარებული, რიუმინის ტიპის გათავხედებული ავანტიურისტების — ადგილობრივი მოხელეების მიერ, საქართველოს კპ ცკ ყოფილი მდივნის მგელაძის მეთაურობით, ქართველ ებრაელთა მიმართ სოციალისტური კანონიერების უხეშად დარღვევის გამო, საჭიროდ ვთვლით აუცილებლად შეგანუხოთ თქვენ და გთხოვოთ ჩვენი გათელილი უფლებების აღდგენა, ხოლო პირებს, რომლებმაც შებღალეს ქართველი ებრაელობა, მოვუწოდოთ მკაცრი პასუხისმგებლობისაკენ. მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია, რომ ოქტომბრის რევოლუციამ ყოფილი მეფის რუსეთის ხალხები გაანთავისუფლა ეროვნული წნეხისა და მონობისაგან. კაპიტალისტური ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც რეაქციული კლასები აღვივებენ ნაციონალისტურ ვნებებს, ახდენენ შოვინიზმის კულტივირებას და რასობრივ ზიზღს, საბჭოთა კავშირში ცხოვრებაში განხორციელდა ხალხთა თანასწორობის და ძმობის დიადი ჰუმანური იდეები.

ადამიანის უფლებების ყოველგვარი შეზღუდვა რასობრივი, ან ეროვნული კუთვნილების მიხედვით და ეროვნული მტრობის და შუღლის ქადაგება, მკაცრად ისჯება კანონით. ოქტომბრის რევოლუციამ, ლენინის და სტალინის ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებამ სხვა ხალხებთან ერთად ებრაელ ხალხსაც თავისუფლება და ბედნიერება მოუტანა.

მაგრამ ვერცერთი ერი ვერ იგრძნობდა ამ თავისუფლებასა და ბედნიერებას ისე, როგორც ჩვენ — ებრაელები, ვინაიდან მრავალი საუკუნის განმავლობაში ყველაზე დაჩაგრული ებრაელი ერი იყო; იგი განიცდიდა დამცირებას და დარბევებს, განწირული გახლდათ ფიზიკური განადგურებისათვის.

ჩვენ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გავხდით თავისუფალი და თანასწორუფლებიანნი, დღეს ჩვენ გვთვლიან ისეთივე ადამიანებად, როგორც ყველა დანარჩენს. ასეთ ბედნიერებაზე კაპიტალისტური ქვეყნების ებრაელებს მხოლოდ ოცნება შეუძლიათ.

გასაბჭოებამ განსაკუთრებული ბედნიერება და თავისუფალი ცხოვრება ქართველ ებრაელებს მოუტანა, ვინაიდან მეფის რუსეთში ეკონომიურად და კულტურულად ყველაზე ჩამორჩენილი ქართველი ებრაელები იყვნენ. უწიგნურობა ჩვენთან 95%-ს აღწევდა, ჩვენ გვჩაგრავდა მეფის მთავრობა, შავრაზმელები, მეფის წვრილი მოხელეები, არ გვქონდა სპეციალობა და ა.შ.

ოქტომბრის მზემ ყველაზე ძლიერ გაანათა და გააბედნიერა ჩვენი ცხოვრება. ჩვენ, ქართველი ებრაელები დიდი მადლიერების გრძნობით, აღვნიშნავთ ამხანაგ ლ.პ. ბერიას ღვაწლს ქართველი ებრაელების, როგორც ეროვნული უმცირესობისათვის განსაკუთრებულად ხელსაყრელი პირობების შექმნაში. დიდი სტალინის მითითებით, მან შექმნა ღატაკ ებრაელთა დახმარების კომიტეტი, შექმნა განსაკუთრებული პრივილეგიები იმისათვის, რომ ღატაკი ებრაელობა შრომით საქმიანობაში ჩაბმულიყო. ამ ორგანიზაციამ გახსნა ფაბრიკები, ქარხნები, დაწესებულებები, შრომით საქმიანობაში ჩააბა ღატაკი ებრაელობა, ებრაელთა შორის ლიკვიდირებული იქნა უწიგნურობა, შექმნილი იყო ძალზე ხელსაყრელი პირობები ებრაელი ახალგაზრდობისათვის საშუალო და უმაღლესი განათლების მიღების საქმეში. საშუალო და უმაღლესი სკოლის ყველა მოსწავლე სახელმწიფო სტიპენდიის გარდა, ღებულობდა დახმარებას ებრაელთა ღარიბთა კომიტეტისაგან. ქართველ ებრაელებს პირველ რიგში ღებულობდნენ მუშფაკებში და უმაღლეს სასწავლებლებში. ჩვენ ყველგან ვსარგებლობდით დიდი პატივისცემით.

შედეგად, ქართველი ებრაელობა გაიზარდა ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით; ქართველი ებრაელები გახდნენ თავისი დიადი სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ნამდვილი პატრიოტები.

ქართველ ებრაელთა მხრიდან არ ყოფილა სახელმწიფოს ღალატის არც ერთი შემთხვევა, არ ყოფილა სხვა კონტრრევოლუციური დანაშაული. დიდ რუს ხალხთან და სხვა ძმურ ხალხებთან ერთად ჩვენ ჭეშმარიტად ვამაყობთ ჩვენი დიადი სამშობლოთი - საბჭოთა კავშირით, ჩვენი აყვავებული საქართველოთი, ჩვენი დიადი ბელადებით - ლენინით და სტალინით, ჩვენი მთავრობით და კომუნისტური პარტიით, რადგან მათი სწორი პოლიტიკის და ჩვენზე განუწყვეტელი ზრუნვის გამო, ჩვენ, რომელთაც ადრე ძაღლადაც არ გვაგდებდნენ, გავხდით საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წევრები, ყმების მდგომარეობიდან ვიქეცით თავისუფალ ადამიანებად და დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენ, ებრაელები, განსაკუთრებით კი ქართველი ებრაელები, ყველაზე ბედნიერი ხალხი გახლავართ, ამიტომ, მზად ვართ თავი შევწიროთ ჩვენს სამშობლოს — საბჭოთა კავშირს, მოვსპოთ ყველა, ვინც ეცდება ხელჰყოს საბჭოთა ხელისუფლება, დიდი ოქტომბრის მონაპოვარი, თუნდაც იგი ჩვენი ოჯახის წევრი იყოს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ, ქართველი ებრაელები, გასაბჭოების შემდეგ ქართველ ძმებს შორის განსაკუთრებული პატივისცემით ვსარგებლობდით და არ იყო არც ერთი შემთხვევა ურთიერთ შეურაცხყოფისა; ჩვენ არ ვგრძნობდით არავითარ განსხვავებას ჩვენსა და ქართველებს შორის, მით უმეტეს, რომ, საუკუნეების განმავლობაში ჩვენ ვლაპარაკობდით მხოლოდ ქართულ ენაზე და ჩვენი და ქართველების ადათ-წესები არ განსხვავდება ერთმანეთისგან.

მიუხედავად ყოველივე ამისა, საქართველოს თანამდებობის პირებს შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც ძალზე ოსტატურად შეინიღბნენ საბჭოთა კანონების მეგზურებად და მგელაძის ხელმძღვანელობით შეეცადნენ გაეღვივებინათ ეროვნული შუღლი და უთანხმოება ძმურ ქართველ და ებრაელ ერებს შორის, შეეცადნენ ქართველი ერის პროვოცირებას, რათა ისინი მეფის დროინდელი შავრაზმელების მსგავსად დაეგეშათ ებრაელების წინააღმდეგ და ამით შეერყიათ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის საფუძვლები, ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო ისტორიული მონაპოვარი ნაციონალურ საკითხებში, ძირი გამოეთხარათ მრავალეროვნული საბჭოთა სახელმწიფოსთვის, ხალხთა სტალინური თანამეგობრობისა და საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში: როგორც კი 1953 წ. 13 იანვარს, რადიოთი გამოცხადდა კრემლში მომუშავე ექიმი პროფესორების დაპატიმრების შესახებ, დაიწყო ებრაელთა ოჯახების მასიური ჩხრეკვა, მათ შორის კომუნისტების ოჯახებში და ებრაელთა მასიური უკანონო დაჭერები საქართველოს ყველა კუთხეში, სადაც კი ებრაელები ცხოვრობენ. გაჩხრიკეს და დალუქეს ყველა სინაგოგა, დააპატიმრეს კულტის ყველა მსახური, მოახდინეს ლიკვიდირება ყველა რელიგიური საზოგადოებისა, ხოლო კომისიის წევრები დააპატიმრეს, აკრძალეს სპეციალური პირების— „ხახმების“ მიერ ფრინველის და საქონლის დაკვლა, დახურეს საცხობები, სადაც დღესასწაულებისათვის აცხობდნენ

პურს- „მაცას“, ყველას ჩამოართვეს სალოცავი წიგნები, რელიგიური წეს-ჩვეულებების ჩატარებისათვის საჭირო ნივთები და ინვენტარი, რომლის ნაწილი დაწვეს და საჯაროდ გათელეს, განსაკუთრებულად აღმაშფოთებელია ის, რომ უსირცხვილოდ ჩამოართვეს ფქვილი. ეს ფქვილი შეძენილი გახლდათ მშრომელ ებრაელთა მიერ სახელმწიფო მაღაზიებში და სინაგოგას გადაეცა ქვითრებით; ამ ფქვილიდან დღესასწაულებისათვის უნდა გამოეცხოთ ხმიადი— „მაცა“. ათასობით თბილისელი ებრაელის მიერ მოტანილი ფქვილიდან გამომცხვარი „მაცა“ საკვებად გადასცეს მეცხოველეობის ფერმებს, ნაწილი არალეგალურად მიჰყიდეს ზოგიერთ ებრაელს, ხოლო დარჩენილი ფქვილი ჩამოართვეს. აი, ამგვარად შებღალეს ებრაელი ხალხის რელიგიური გრძნობა.

ასეთი უმსგავსოების ჩამდენი ზოგიერთი მოხელე, ღიად ამბობდა, რომ ყველა ებრაელი გადასახლებული იქნება შორეულ აღმოსავლეთში, ხოლო თუ ვინმე გაბედავდა კითხვას: რამ განაპირობა ასეთი სისასტიკე, მას იქვე რამდენიმე დღით პროკურორის სანქციის გარეშე აპატიმრებდნენ.

ქართველებს შორის ისინი ავრცელებდნენ პროვოკაციულ ხმებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირში ებრაელი ერი უნდა იქნას განადგურებული, როგორც „მავნებელი ერი“ და ისინი აღვივებდნენ მტრობას ქართველ და ებრაელ ხალხებს შორის, რომლებიც 35 წელი ცხოვრობენ ძმურ თანამეგობრობაში.

შევჩერდებით ებრაელი ხალხის აბუჩად აგდების რამდენიმე აღმაშფოთებელ ფაქტზე:

1. ქალაქ თბილისში ფუნქციონირებდა 4 სინაგოგა; ყველა ისინი დალუქული და ჩამორთმეულია, გატანილია მთელი სამლოცველო ინვენტარი და წიგნები, რამდენიმე ათასწლეულის წინ დაწერილი უძვირფასესი რელიგიური ლიტერატურა, ეს ლიტერატურა გახლდათ ბიბლიოგრაფიული იშვიათობა.

დანგრეული იქნა უძველესი სინაგოგა, საჯაროდ ფეხებით გათელეს სალოცავი წიგნები და ინვენტარი.

მგელაძემ გასცა სინაგოგების დაცლის, მომსახურე პერსონალის გამოსახლების და სინაგოგის დანგრევის ბრძანება, რომელშიც დაცული იყო სამუზეუმო სიძველეები. ბრძანება სისრულეში იქნა მოყვანილი. მგელაძემ საჯაროდ განაცხადა, რომ ებრაელთა მისია დასრულებულია.

და მთავარი: სინაგოგას ჩამოერთვა ფულადი სახსრები, რომელიც მრავალი ათწლეულის განმავლობაში შემოწირულობებით გროვდებოდა; ისინი ინახებოდა შემსალაროში; ავანტიურისტებმა თან გაიყოლეს შემსალაროს წიგნაკები.

მგელაძის ბრძანებით, მთავარი სინაგოგა გადაეცა კინოსტუდიას.

უნდა აღინიშნოს, რომ მგელაძის მხრიდან ებრაელების ასე აბუჩად აგდება არ არის შემთხვევითი. იგი ადრეც ეწეოდა ებრაელთა დევნას. ასე მაგალითად, საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნად მუშაობისას, მან დაანგრია ქ.სოხუმში არსებული ერთადერთი სინაგოგა. ებრაელებს აუკრძალა რელიგიური წეს-ჩვეულებების ჩატარებისათვის საჭირო ბიბლიური წიგნების და ინვენტარის გამოტანაც კი. და როდესაც ებრაელებმა დააპირეს მგელაძის უკანონო ქმედებების გასაჩივრება, ერთი პარტიული ებრაელის საშუალებით დაემუქრა ებრაელებს, რომ თუ ისინი იჩივლებდნენ, ყველას შორეულ ადგილებში გადაასახლებდა.

დღემდე ებრაელებს სოხუმში სინაგოგა არ გააჩნიათ.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ებრაელთა უკანონო ჩხრეკები და დაჭერები ერთდროულად დაიწყო მთელს საქართველოში. ხომ არ არის ეს კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ ამ ავანტიურის ხელმძღვანელი მგელაძე იყო?

თბილისში სინაგოგის ჩხრეკის და ქონების ჩამორთმევის ამ აღმაშფოთებელი ძალადობის ზოგიერთმა მონაწილემ მიიღო შესაძლებლობა გაეტანათ და ისევ გაეყიდათ სალოცავი წიგნები და დღესასწაულებისათვის გამოცხობილი „მაცა“, ან უბრალოდ გადაეყარათ იგი.

2. ქ.ქუთაისში ფუნქციონირებდა 4 სინაგოგა, ოთხივე დაილუქა, დააპატიმრეს კულტის ყველა მსახური, ოფიციალურად ნებადართული კომისიის თავმჯდომარე და სხ. ჩამორთმეული იქნა მთელი ქონება.

3. ებრაული მოსახლეობის მიმართ ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი საქართველოს ყველა დასახლებულ პუნქტში.

4. განსაკუთრებული მრისხანებით გამოირჩეოდნენ სამტრედიის რაიონში (რაიკომის მდივანი შუბლაძე, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს რაიგანყოფილების უფროსი ვერულაიშვილი). ამ რაიონში სოფელ კულაშში ცხოვრობს ათასზე მეტი ებრაელის ოჯახი, აქ ჰქონდათ ოთხი სალოცავი სახლი. ოთხივე გაჩხრიკეს, გაძარცვეს და დახურეს. ჩატარდა მოსახლეობის მასიური ჩხრეკა — გაჩხრიკეს თითქმის ყველა ოჯახი, მათი უმრავლესობა ორდერის და ოქმის შედგენის გარეშე, (მათ შორის კომუნისტების: შალვა რაფიელის-ძე ჯანაშვილის, გაბრიელ მოსეს-ძე მირელაშვილის და მეირა ბათაშვილის სახლები. სუკ-ის რაიგანყოფილების ხელმძღვანელობით რკინიგზის სადგურებში ყოველგვარი სანქციის გარეშე უსაფრდებოდნენ და იჭერდნენ მატარებლიდან ჩამოსულ ებრაელებს და ჰყავდათ პატიმრობაში რამდენიმე დღის განმავლობაში. ვერულაიშვილმა ებრაელებს განუცხადა, რომ ებრაელთა მისია დასრულებულია და ყველა ისინი იქნებიან გადასახლებული, რომ, ჯერ კიდევ 12 წლისას მოწაფეობისას მას ეზიზღებოდა ებრაელები და დღეს მოხარულია, რომ პირადად ანადგურებს მათ.

5. კულაშში ადგილი ჰქონდა შემდეგ ფაქტს: ებრაელები სალოცავად შეგროვდნენ ერთ-ერთ ოჯახში. ვერულაიშვილის განკარგულებით მათ დაესხათ ადგილობრივი მილიცია; ებრაელები მირეკ-მორეკეს და დაემუქრნენ, რომ დაპატიმრებული იქნება ყველა, ვინც ილოცებს.

6. ყველაზე აღმაშფოთებელი იყო ის, რომ თბილისში რამდენიმე დღით დაიხურა ებრაელთა სასაფლაო.

ყველა ამ მოვლენამ ძლიერი გავლენა მოახდინა ებრაელებზე. ბევრი ცხარე ცრემლებით ტიროდა, გამზადებული ბარგით ელოდნენ გადასახლებას მგელაძის და სხვების მუქარის შესაბამისად.

ათასობით წყევლას ვაგზავნიდით პროფესორების მისამართით, რომლებიც კრემლში იყვნენ დაპატიმრებულნი, და რომელთა დაჭერა გახდა ჩვენი უბედურების მიზეზი.

უბედურად მივიჩნევთ თავს იმის გამო, რომ ავანტურისტები გვეუბნებოდნენ, თითქოსდა, ეს ყველაფერი ხდებოდა სსრკ მთავრობის და პირადად ამხანაგ სტალინის მითითებით. ჩვენ ვერაფრით ვერ ვიჯერებდით ამ საძაგელ პროვოკაციას, მაგრამ ვერც რაიმეს თქმას ვბედავდით — საკმარისი იყო კითხვის დასმაც კი, რომ იქვე გვიჭერდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ასობით სინაგოგა გაიჩხრიკა და არც ერთში არ უპოვნიათ ქაღალდის ერთი ნაგლეჯიც კი, ან რაიმე სხვა ნივთი, რომელიც ჩვენს ანტისაბჭოურ საქმიანობაზე, ან რაიმე სხვა სახის დანაშაულზე მიანიშნებდა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ერთ-ერთ სინაგოგაში ნაპოვნი იქნა შემნახველი სალაროს წიგნაკი 140000 მან. ანაბრით, რაც შემოსული იყო შემოწირულობებით, 1300 მან. მეფისდროინდელი ჭედურობის ოქროს მონეტებით, რის შესახებაც ებრაელმა მოსახლეობამ არაფერი იცოდა. ცხადია, ამისთვის პასუხისგებაში მიცემული უნდა ყოფილიყო სავალუტო წესების დამრღვევი კონკრეტული დამნაშავე და არა საქართველოს სსრ მთელი ებრაული მოსახლეობა.

თავიანთი პროვოკაციული ქმედებების გასამართლებლად მგელაძის თანამოღვაწეებმა მიმართეს გამოძიების უსასიზღრეს მეთოდს.

ფიზიკური ძალადობით და დაშინებით აიძულეს კულტის ერთ-ერთი მსახური ყალბად ხელი დაედო კულტის სხვა მსახურებზე, რომ ვითომდა სუფრაზე ისინი ლოცავდნენ ერთმანეთს ებრაული კურთხევით, რომლის ტექსტი დაწერილია ჯერ კიდევ ათასწლეულების წინ, როდესაც რომის სახელმწიფომ გაანადგურა ებრაული სახელმწიფო და ებრაელები მიმოფანტული იქნენ მთელს მსოფლიოში. ისინი ლოცავდნენ ერთმანეთს შემდეგნაირად: „დაე, ღმერთმა გიშველოს შენ და დაგაბრუნოს შენს ქვეყანაში“. თითქოსდა, ასეთნაირად ლოცავდნენ ერთმანეთს ჩვენი რაბინები და ამის „საფუძველზე“ რჩებიან პატიმრობაში რაბინი კუპჩანი და ოთხი სხვა რაბინი, აგრეთვე ორი ხახამი ქუთაისიდან. დანარჩენები გაათავისუფლეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ნახსენები რაბინები, განსაკუთრებით კი კუპჩანი, ყოველთვის ხოტბას ასხამდა საბჭოთა ხელისუფლებას, ყოველთვის ამბობდა, რომ ჩვენ თავისუფალნი ვართ მხოლოდ საბჭოთა კავშირში და თავისი ტკბილი ხმით დღესასწაულებზე და შაბათობით მღეროდა ამხანაგ სტალინის და საბჭოთა მთავრობის ქება-დიდების სიმღერებს, უმღეროდა საბჭოთა ხალხის გამარჯვებებს, ნათელი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ ძლევამოსილ სვლას. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მათ წინააღმდეგ ბრალდება არ შეესაბამება სინამდვილეს. პროვოკატორებმა ხელოვნურად შეთითხნეს ეს ბრალდება, თავიანთი საზიზღარი პროვოკაციული მოქმედებების გასამართლებლად.

ამრიგად, პროვოკატორებმა მგელაძის ხელმძღვანელობით უხეშად დაარღვიეს სტალინური კონსტიტუციის შემდეგი ძირითადი დებულებები:

1. მოქალაქეთა ხელშეუხებლობა
2. მოქალაქეთა ქონების ხელშეუხებლობა
3. რწმენის თავისუფლება
4. ყველა მოქალაქის თანასწორობა, მიუხედავად მისი რასობრივი, ან ეროვნული კუთვნილებისა.

პროვოკატორებმა, მგელაძის მეთაურობით, ისარგებლეს იმით, რომ ყოფილი სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელობა ხელოვნურად და მავნებლურად ქმნიდნენ ცრუ ბრალდებებს სამედიცინო დარგის მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეების წინააღმდეგ და როგორც კი რადიოთი გადაიცა ცნობა ამ პროფესორების დაპატიმრების შესახებ, იმწამსვე ჩაიდინეს პროვოკაციული ქმედებანი ქართველ ებრაელთა წინააღმდეგ; დაიწყო მასიური ჩხრეკები და დაჭერები, სინაგოგების ძარცვა და რელიგიური საზოგადოებების ლიკვიდაცია, ყველა ებრაელი გაანთავისუფლეს დაწესებულებებში დაკავებული საპასუხისმგებლო თანამდებობებიდან.

საბჭოთა კავშირის ყველა პატიოსანი მოქალაქე და მათ შორის ებრაელებიც, უდიდესი სიხარულით შეხვდა, მთავრობის ცნობას და „Правда“-ს მოწინავეს ექიმ-პროფესორების რეაბილიტაციის შესახებ, გაიფანტა ყოველგვარი გაუგებრობა, რომელსაც სთესდნენ პროვოკატორები ჩვენსა და ჩვენ ძმებს — ქართველებს შორის. ქართველები დარწმუნდნენ, რომ ჩვენს წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა ისეთივე ბინძურ პროვოკაციას, როგორც კრემლის პროფესორების წინააღმდეგ.

მიუხედავად ამისა, ჩვენ ჯერ კიდევ გვეშინია საჩივრების წერა, რადგან პროვოკატორები ჯერ ისევ რჩებიან თავიანთ ადგილებზე, და თუ ჩვენი საჩივარი ხელში ჩაუვარდებათ, შეუძლიათ სასტიკად იძიონ შური ჩვენზე.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, გთხოვთ ჩვენი განცხადება არ გადასცეთ ადგილებზე ჩვენ მტრებს, პროვოკაციის ავტორებს და გამოჰყოთ ავტორიტეტული, ობიექტური კომისია, რომელიც მთელი სერიოზულობით მიუდგება მოცემულ საკითხს, მოუსმენს მშრომელ ებრაელებს, რელიგიური საზოგადოებების ხელმძღვანელებს და გააკეთებს შესაბამის დასკვნებს. ვიმედოვნებთ, რომ საბჭოთა მთავრობა და სკკპ ცენტრალური კომიტეტი საქართველოს სსრ ახალ ხელმძღვანელობასთან ერთად აღადგენენ ჩვენს შელახულ უფლებებს და სამართლიანობას.

გთხოვთ: ქართველ ებრაელობას დაუბრუნონ ჩამორთმეული სინაგოგები ინვენტართან, რელიგიურ საგნებთან და სალოცავ ლიტერატურასთან ერთად, რაც აუცილებელია მორწმუნეებისათვის, დაუბრუნონ 240000 მან., რომელიც ინახება შემსალაროში და აგრეთვე შრომითი მოსახლეობისთვის უკანონოდ ჩამორთმეული ყოველგვარი ქონება (ფქვილი და სხვ.), მეფისდროინდელი ჭედურობის ოქროს ფული კი გადაეცეს სახელმწიფო ბიუჯეტს; პატიმრობიდან გაათავისუფლონ კულტის მსახურები, რადგან მათ წინააღმდეგ ბრალდება პროვოცირებული იქნა რიუმინის ტიპის გადაგვარებულ შეჩვენებულთა მიერ მგელაძის მეთაურობით, რომლებიც შეეცადნენ ეროვნული შუღლის გაღვივებას და ამით საბჭოთა წყობის საფუძვლების შერყევას. ამიტომ გთხოვთ მათ მკაცრ დასჯას.

ჩვენო საყვარელო ხელმძღვანელებო, ჩვენ ქართველი ებრაელები, გეფიცებით, რომ ყოველთვის ერთად ვიქნებით დიდ რუს და სხვა ძმურ ხალხებთან, და როგორც ყოველთვის, მომავალშიც პატიოსნად და თავგანწირვით ვემსახურებით ჩვენს დიად ქვეყანას - საბჭოთა კავშირს და პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. საბჭოთა მთავრობის გარშემო დარაზმულნი, ვიბრძოლებთ ძალღონის დაუზოგავად, ჩვენი ხალხების უმაღლესი მიზნის - კომუნიზმის განხორციელებისათვის.

გაზეთი „დავითის ფარი“ №122

რედაქციისაგან: საქართველოს ებრაელობის ისტორიისათვის ეს მრავალმხრივ საყურადღებო წერილი, რომელიც ადასტურებს ჩვენი მამების, ბაბუების ტრაგიკულ ყოფას, აშშ-ში გამომავალ რუსულ-ქართულენოვან გაზეთ „დავითის ფარში“ რუსულ ენაზე გამოქვეყნდა. გაზეთის რედაქტორთან ბ-ნ სიმონ კრიხელთან სატელეფონო საუბრისას გაირკვა, რომ ქართველ ებრაელთა ეს წერილი ბ-ნ სიმონს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი მდივნის ალ. იაკოვლევის არქივში მიუკვლევია. წერილის ქართული, მირიან შაორშაძის მიერ შესრულებული თარგმანიც ბ-მა სიმონმა მოგვაწოდა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

ისრაელის საელჩო თბილისში

ლექცია მეცნიერებათა აკადემიაში

ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში იუვალ ფუქსმა წაიკითხა ლექცია „ისრაელის თვალით დანახული ახლო აღმოსავლეთი“.

7 თებერვალს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის იუვალ ფუქსის ლექციის მოსასმენად მოვიდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები, წევრ-კორესპოდენტები, მეცნიერების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.

მართალია, ლექციის თემა ახლო აღმოსავლეთის პრობლემებით გახლდათ შემოსაზღვრული, მაგრამ ბატონმა ელჩმა არა მხოლოდ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტურ სიტუაციაზე, ირანის ბირთვულ ამბიციასა და მისგან მომდინარე საფრთხეზე ისაუბრა, დიდი ყურადღება დაუთმო ქართულ-ებრაულ ისტორიულ ურთიერთობას, განსაკუთრებული ყურადღება კი ისრაელ-საქართველოს თანამედროვე ურთიერთობაზე გაამახვილა, ილაპარაკა ჩვენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ამასწინანდელ ერთობ წარმატებულ ვიზიტზე ისრაელში, ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა ერთობ სერიოზულ ფაზაში შედის, რაც ბიზნესის, ჰაიტექნოლოგიების განვითარებას განაპირობებს.

ბ-ნი იუვალ ფუქსის ლექციების კომენტირებისას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა **გიორგი კვესიტაძემ** წინა პლანზე წამოსწია ის საკითხები, რომლებიც ესოდენ მნიშვნელოვანია ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში და რაზეც ელჩმა დამაჯერებლად ისაუბრა.

სიტყვები წარმოსთქვეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტმა **როინ მეტრეველმა**, აკადემიკოსმა **თამაზ გამყრელიძემ**, აკადემიის წევრ-კორესპოდენტმა **რევაზ გაჩეჩილაძემ**, ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანმა **მაია ჩაჩიბაიამ** და სხვ.

აგრო სემინარი

2014 წლის 26 თებერვალს, ისრაელის საელჩომ, მარნეულში ჩაატარა ისრაელის ცნობილი კომპანიის ISRAGREEN-ის მონაწილეობით აგროსემინარი.

სემინარის თემა: „წვეთოვანი და სასხური სარწყავი სისტემები, სათბურები და მისი აქსესუარები. ახალი მეთოდების და ტექნოლოგიების გამოყენება ხილ-ბოსტნეულის მოსაყვანად“.

ეს არის ის საკითხი, რომელიც ესოდენ აქტუალურია საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის.

სემინარი გახსნა ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა იუვალ ფუქსმა.

თელ-ავივის ტრიო თბილისში

ისრაელის საელჩომ საქართველოში 15 თებერვალს ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ ცენტრთან ერთად წარმოადგინა საკონცერტო სერიის „იერუსალიმის მუსიკალური საღამოები თბილისში“ მეორე კონცერტი. Tel Aviv Trio in Tbilisi.

ცენტრის მცირე დარბაზში ჩატარდა თელ–ავივის ტრიოს კონცერტი. გრიგორი იანოვსკის (ჩელო) თელ-ავივის სიმებიანი ტრიო ქართველ მსმენელებს შემდეგ კომპოზიციებს წარუდგენს: შუბერტი – სიმებიანი ტრიო სი-მაჟორი; მოცარტი – დივერტისმენტი მი ბემოლ მაჟორი V 563; ჩიკ კორეა – სენიორ თაგვი

„ებრაელები ახალ კატასტროფას აახლოებენ“

ცნობილი რუსი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე პროხანოვი და ტელეწამყვანი ეველინა ზაკამენსკაია 24 თებერვალს „როსსია-23“ ეთერში შეთანხმდნენ, რომ ებრაელები, ებრაული ორგანიზაციები თავთავიანთი ქმედებებით ახალ კატასტროფას (ასე ეძახიან მეორე მსოფლიო ომში ექვსი მილიონი ებრაელის გაჟლეტას) აახლოებენ. ამას იუწყება NEWSru.co.il.

უკრაინაში შექმნილ სიტუაციაზე საუბრისას ალ. პროხანოვმა თქვა, რომ უცნაურია, როცა საერთაშორისო ებრაული ორგანიზაციები მხარს უჭერენ კიევის მაიდანს. პროხანოვმა ებრაული ორგანიზაციების ქმედებას სიბრმავე უწოდა და გაიხსენა, რომ 1933 წლამდე ფიურერს „ბევრი უჭერდა მხარს“ — რას აკეთებენ? არც კი ესმით, რომ ამით მეორე ჰოლოკოსტს აახლოებენ — განაცხადა პროხანოვმა, ამ საუბრისას წამყვანი — ეველინა ზაკამენსკაია პროხანოვს თავს უკრავდა და ამბობდა: „პირველი ჰოლოკოსტიც ასევე მოაახლოვეს“.

ჯონ კერის განცხადება

26 თებერვალს ჟურნალისტებთან საუბრისას ჯონ კერიმ განაცხადა, რომ აპრილის ბოლომდე ვერ შესძლებს პალესტინასა და ისრაელს შორის ჩარჩო ხელშეკრულების ხელმოწერას.

პალესტინის საინფორმაციო საშუალებები კი იუწყებიან, რომ 20 თებერვალს პარიზში დაწყებული ჯონ კერისა და მაჰმუდ აბასის მოლაპარაკება პალესტინის ავტონომიის ლიდერის ინიციატივით შეწყდა — მაჰმუდ აბასმა აღარ ისურვა საუბრის გაგრძელება — კატეგორიულად უარყო ჩარჩო ხელშეკრულების ჯონ კორისეული ვარიანტი. აშშ სახელმწიფო მდივანი აყენებს წინადადებას, რომ პალესტინელებმა სცნონ ისრაელი, როგორც ებრაული სახელმწიფო, დაყაბულდნენ იორდანეს ველზე ისრაელის სუვერენიტეტს, ათი დასახლების ისრაელისადმი მიკუთვნებას, პალესტინის ტერიტორიაზე საერთაშორისო ძალების განლაგებას. პალესტინის ლიდერის მაჰმუდ აბასის განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოიწვია ჯონ კერის მოსაზრებამ იმის თაობაზე, რომ პალესტინის ავტონომიის დედაქალაქად გამოცხადებული იქნას იერუსალიმის რაიონი ბეით ხანინი და არა მთელი აღმოსავლეთ იერუსალიმი. მაჰმუდ აბასმა ამ წინადადებას უაზრო უწოდა და კატეგორიულად უარყო.

იგორ კოლომეისკი — გუბერნატორი

ევროპის ებრაელთა პარლამენტის თანათავმჯდომარე, ოლიგარქი იგორ კოლომეიცკი უკრაინის ახალმა ხელისუფლებამ დნეპროპეტროვსკის ოლქის გუბერნატორად დანიშნა. იგორ კოლომეისკი და კიდევ რამდენიმე ებრაელი ოლიგარქი წინა ხელისუფლების დროს უკრაინიდან დევნილნი იქნენ. ისინი უკრაინას ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დაუბრუნდნენ და ცდილობენ ხელი შეუწყონ ქვეყნის განვითარებას.

მენახემ ბეგინის დაბრუნება

ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მენახემ ბეგინი პოლიტიკოსი, რომელმაც ამ ქვეყნის ეკონომიკა სრულიად სხვა მიმართულებით წაიყვანა, ახალ რელსებზე გადაიყვანა, მეზობელ სახელმწიფოებთან სამშვიდობო მოლაპარაკება დაიწყო, ბელორუსიაში — ქალაქ ბრესტში დაიბადა. ამას წინათ იგი მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა — ბრესტში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მენახემ ბეგინის ბიუსტი. ბიუსტის გახსნისადმი მიძღვნილ ცერემონიალში მონაწილეობდნენ ქალაქის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბელორუსში **იოსებ შაგალი** და სხვ.



მარკ შაგალის ბიუსტი

ბელორუსის ქალაქ ლიოზნოს სამხედრო-ისტორიული მუზეუმის ტერიტორიაზე დაიდგა გენიალური ებრაელი მხატვრის — მარკ შაგალის ბიუსტი. მარკ შაგალი ვიტებსკში დაიბადა და იზრდებოდა, მაგრამ ლიოზნოში მის ოჯახს პატარა მამული ჰქონდა — ბავშვობაში აქ ხშირად იყო, რადგან ლიოზნოში ნათესავ-ახლობლები ცხოვრობდნენ. თავის შესანიშნავ წიგნში „ჩემი ცხოვრება“ მარკ შაგალი ხშირად იხსენებს ლიოზნოს.



უკრაინის ვაადი: პანიკას პროვოკაციები თესავენ

უკრაინის ვაადის თავმჯდომარის უკრაინის ეროვნული თემთა კონგრესის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტის იოსებ ზისელსის განცხადება

უკრაინის ებრაული თემების ასოციაცია (ვაადი) და უკრაინის ეროვნულ თემთა კონგრესი მოუწოდებენ უკრაინის პოლიტიკურ, რელიგიურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, თავი შეიკავონ განცხადებებისაგან, რომლებმაც შესაძლოა დაარღვიონ ერთაშორისი მშვიდობიანი ყოფა.

მაიდანზე ბრძოლის განმავლობაში, თვით სასტიკი დაპირისპირების პირობებშიც კი, უკრაინაში შენარჩუნებული იქნა სრულიად სხვადასხვა ეროვნების და კონფესიის მატარებელ მოქალაქეთა ერთიანობა.

დღეს, როცა ძალისმიერი ქმედებები შეწყდა და ქვეყანა მშვიდობიან ყოფას უბრუნდება, ძალზე მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ერთიანობის შენარჩუნება. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ გადავლახოთ ათწლეულობით დაგროვილი პრობლემები, რომლებმაც ბოლო ხანს განსაკუთრებით იჩინეს თავი.

ასეთ პირობებში ნაციონალური შუღლის გაღვივების, ,,წინასწარმეტყველებანი" მოსალოდნელი დარბევების თაობაზე, შესაძლოამიჩნეულ იქნას წინასწარგანზრახულ პროვოკაციად, რომელიც მიზნად ისახავს სუვერენული ერთიანი, დემოკრატიული უკრაინის სახელმწიფოებრივ განადგურებას.

ჩვენ მკაცრად ვგმობთ ამგვარ ქმედებებს და დაბეჯითებით ვაცხადებთ, რომ დღეს უკრაინაში არ არსებობს არა-რა შიდა სახელმწიფოებრივი რეალური საფრთხე ეროვნული და რელიგიური უმცირესობისათვის.

ჩვენ ვაფრთხილებთ იმ ორგანიზაციებსა და მათს ხელმძღვანელებს, რომლებიც ცდილობენ საზოგადოებაში ხელოვნურად შეინარჩუნონ საგანგაშო სიტუაცია, უწინარესად კი ებრაულ ორგანიზაციებს ფონდრეიზინგის გამო (უსაფრთხოებისათვის თანხების მოზიდვა) პასუხისმგებელნი იქნებიან ასეთი ქმედებებით გამოწვეულ შედეგებზე.

თანამედროვე პოლიტიკური უკრაინელი ერის შექმნა ჩვენს ერთიანობას, რევანშისტული და ნეოიმპერიალისტური ძალების აგრესიის წინააღმდეგ ჩვენს დარაზმულობას თხოულობს.

ჩვენ მხოლოდ ერთიანობით გავიმარჯვებთ!

რუბენ ენოხის ახალი წიგნი



ორიოდე კვირის წინათ იერუშალაიმის მაგნესის სახელობის გამომცემლობამ გამოსცა არიელის უნივერსიტეტის პროფესორის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ებრაული თემების კვლევის ინსტიტუტის დირექტორის რეუვენ ენოხის ახალი წიგნი „ფესახის აგადის ტრადიციული თარგმანი ქართველ ებრაელთა მიერ". ეს წიგნი ერთგვარი გაგრძელებაა იმ სამუშაოსი, რომელიც ავტორმა ათეული წლების წინ წამოიწყო და რომლის შედეგიც გახლდათ ორ წიგნი ბერეშითის თარგმანის შესახებ, რომლებიციერუშალაიმის ებრაული უნივერსიტეტის იმავე სერიაში გამოქვეყნდა, როგორც ახალი წიგნი: „თემი და ენა".

რეუვენ ენოხი ამზეურებს ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანეს ფურცლებს - ესაა „თავსილი" - ქართველ ებრაელთა მიერ შესრულებული თარგმანები წმინდა წიგნებისა და ძირითადი ებრაული რელიგიური ლიტერატურისა (აგადა, ფირკე აბოთი და სხვა). ეს თარგმანები საუკუნეთა განმავლობაში ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ჩვენი თემის ცხოვრებაში. ქართველი ებრაელები, რომელთა უმეტესობასაც დავიწყებული ჰქონდა ლაშონ აკოდეში, მათი მეშვეობით ეცნობოდნენ წმინდა წიგნების სიდიადეს. რეუვენ ენოხი ვარაუდობს (ალბათ, სამართლიანადაც), რომ ამ თარგმანების ძირითადი ნაწილი მე-11 საუკუნის მახლობლობაშია შესრულებული.

წიგნში აგადის თარგმანი გამოცემულია სამი რედაქციის მიხედვით. ერთია ჩვენი ცნობილი რაბინის, ბერ-შევის ქართველ ებრაელთა თემის სულიერი წინამძღოლის აბრამ გაგულაშვილისაგან ჩაწერილი ტექსტი, მეორე - სახელგანთქმულ ხახამ იაყაკობ დავარაშვილის თალმიდის ხახამ შალომ ჩიკვაშვილისგან ჩაწერილი ვარიანტი, ხოლო მესამე ის ტექსტია, რომელსაც მალულად იატაკქვეშეთში ბეჭდავდნენ და ხელიდან ხელში გადასცემდნენ რწმენისა და ებრაელობისათვის თავდადებული პიროვნებანი კომუნისტური რეჟიმის სასტიკ პირობებში წინა საუკუნის 50-იან-60-იან წლებში. ერთი ასეთი გამოცემა რეუვენ ენოხის ოჯახმაც შემოინახა და ახლა იხილავს დღის სინათლეს.

ვუსურვოთ რეუვენ ენოხს ახალი წარმატებანი ჩვენი თემის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის შესწავლის რთულ გზაზე.

მოსკოველ ხიხინაშვილთა ღირსეული საქმე

3 მარტს — დედის დღეს — ჩატარდა ფონდ „იავნანას" ათი წლის იუბილე. გამოჩენილი საოპერო ბანის — პაატა ბურჭულაძის მიერ დაარსებული ეს საქველმოქმედო ფონდი, რომელიც უსახლკაროთ ჭერს აძლევს, გასაჭირში ჩავარდნილთ იმის იმედს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მათთვისაც გამოანათებს მზე, უკვე ათი წელია ადამიანების ოცნების ასრულებისათვის იღვწის — მრავალ უსახლ-კარო ბავშვს უყიდეს ბინა, მრავალს მისცა სტიპენდია, ავადმყოფს — შველა და ა.შ.

საიუბილეო, — მეათე წლის სადღესასწაულო საღამო იმითაც იყო საინტერესო, რომ შემომწირველთა შორის არაერთი ებრაელი გახლდათ. როგორც იტყვიან, მეფური საჩუქარი მოსკოვში მცხოვრები ქართველი ებრაელი ბიზნესმენების — ხიხინაშვილების დედამ გააკეთა. პაატა ბურჭულაძემ საზოგადოებრიობას აუწყა, რომ ხიხინაშვილები ერთ-ერთ უსახლ-კარო ოჯახს სახლს შეუძენენ.

„საქართველოს ებრაელობა. ისტორია და კულტურა"

2 მარტს ბარ-ილანის უნივერსიტეტის ფელდმანის სახელობის სხდომათა დიდ დარბაზში ამ უნივერსიტეტის დაჰანის სახელობის ცენტრის ინიციატივით ჩატარდა სამეცნიერო სემინარი თემაზე: „საქართველოს ებრაელობა. ისტორია კულტურა" შესავალი სიტყვა წარმოთქვა ისრაელის პარლამენტის წევრმა დაჰანის ცენტრის საბჭოს თავმჯდომარემ დრმა შიმონ ოხაიონმა, კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ბარ-ილანის უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ხაიმ ტაიტელბაუმმა, ცენტრის საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარემ რამი ბობლილმა და ქართველ ებრაელთა გაერთიანების ხელმძღვანელმა ანგარიშმწარმოებელმა შაბთაი ბირანმა. სემინარის საპატიო სტუმარი გახლდათ საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი გაბრიელ მირილაშვილი.

სემინარზე ცენტრალური მოხსენებით წარდგა არიელის უნივერსიტეტის პროფესორი რეუვენ ენოხი, რომელმაც ისაუბრა ქართველ ებრაელთა ისტორიასა და კულტურაზე.

კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ ბარ-ილანის უნივერსიტეტის პროფ. დან საპირო, გაერთიანებული ორგანიზაციისათვის 18 ოჯახის გამგზავნელთა წარმომადგენელი ელი არიელი (იერუშალაიმი), დოქტორი ლილი მაგალი, ცნობილი კომპოზიტორი დრი რუბენ კაჟილოტი, თელ-ავივის უნივერსიტეტის პროფესორი დოდო ჩიკვაშვილი. რაბინმა სიმონ ელიშაყაშვილმა შეასრულა ქართველ ებრაელთა შირები.

სემინარმა მრავალრიცხოვან დამსწრეთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

სამი ისრაელელი მეცნიერი...

სამი ისრაელელი მეცნიერი აშშ საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს. ესენი არიან: პროფესორი დავიდ ხარელი ვაიცმანის ინსტიტუტიდან, პროფესორ იალონ განი და პროფესორი მოშე შოხამი. დავიდ ხარელს ეს პატივი წილად ხვდა ლოგისტიკის პროექტირებისათვის შეტანილი წვლილისათვის.

პროფესორმა განიმ თავი გამოიჩინა სარაკეტო ძრავებისათვის მყარი საწვავის შემუშავებისათვის, პროფესორმა შოხამმა კი საოპერაციო რობოტი შექმნა. ეს რობოტი სხვა სახის ოპერაციებთან ერთად გამოიყენება ზურგის ტვინის ოპერაციის დროს.

აშშ საინჟინრო აკადემიაში სულ 67 აკადემიკოსია, აქედან 11 — უცხოელი, ამათ შორის 3 ისრაელელია.

იცვლება სამხედრო სამსახურის ვადა

ისრაელის სამხედრო სამსახურში ვაჟების ყოფნის ვადა დღემდე 36 თვე გახლდათ, ქალებისა კი — 24 თვე. თებერვალში თანასწორი უფლებების სპეციალურმა კომისიამ მიიღო დადგენილება, რომ ვაჟების სამხედრო სამსახურის ვადა შემცირდეს ოთხი თვით. საბრძოლო ნაწილებში მოსამსახურეთა ვადა კვლავ 36 თვე რჩება, მაგრამ ბოლო ოთხი თვის განმავლობაში ისინი ისეთივე ხელფასს მიიღებენ, როგორც კონტრაქტორები.

უახლოეს მომავალში ეს კანონპროექტი ქნესეთის განხილვის საგანი გახდება.

რომელ ენაზე საუბრობენ ისრაელში?

როგორც ისრაელის მეცხრე არხი იტყობინება, ისრაელში მოსახლეობის დიდი ნაწილი ლაპარაკობს რუსულ ენაზე, რუსული ენა რიგით მესამეა ივრითისა და არაბულის შემდეგ. დღეს ისრაელში რუსულად მილიონ ადამიანზე მეტი ლაპარაკობს. ხოლო იდიშზე — 2% (დაახლოებით 120 ათასი ადამიანი. 1986 წელს ამ ენაზე საუბრობდა 215 ათასი, ხოლო 2008 წელს 160 ათასი ადამიანი) ამდენივე 120 ათასი ადამიანი ლაპარაკობს ინგლისურად და ფრანგულად.

არაბული ენა მშობლიურია ისრაელის მოსახლეობის 18 პროცენტისათვის — 1 მილიონ 44 ათასი ადამიანი.

„ებრაელები და საქართველო. დიასპორა თუ...“

თელ-ავივში ქართულ ენაზე გამოვიდა ზოია ჯინჯიხაშვილის წიგნი „ებრაელები და საქართველო. დიასპორა თუ... (ანტიკური და ფეოდალური ხანა)“ წიგნის ავტორს ზ. ჯინჯიხაშვილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაუმთავრებია, მსახურობდა საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

ავტორი წიგნში საინტერესო მოსაზრებას ანვითარებს, ებრაელთა პროტოსამშობლოს თაობაზე,რომელსაც ამოიკითხავთ მის შემდეგ სტრიქონებში; „ხსენებულ გეოგრაფიულ გარემოსთან(საქართველოსთან.რედ) ებრაელთა კავშირი იმდენად შორეულ წარსულში იღებს დასაბამს, რომ იგი მათს პირველ სამშობლოდაც შეიძლება მოიაზრებოდეს. ამგვარი მოსაზრების საფუძვლიანობას მოწმობენ ებრაელთა მიერ ამ მიწაზე განვლილი დიდი ისტორიული გზის ამსახველი უკვე ცნობილი თუ ჩვენს მიერ ახლად მიკვლეული ქართული თუ უცხოური მასალების, განსაკუთრებით ლინგვისტური, კერძოდ ქართულ და სხვა ხალხთა სინამდვილეში შემორჩენილი ებრაული ტერმინოლოგიური მასალების მეცნიერული კვლევის შედეგები“.

ავტორი იმდენად დარწმუნებულია თავისი მეცნიერული ვარაუდის სინამდვილეში, რომ მიიჩნევს: საუკუნეების წინათ საქართველოშო ებრაელები არა დიასპორაში, სამშობლოში მობრუნდნენ.

დავით ზეიკიძე

რა სჯობია

შალომ აქეთ, შალომ იქით
ზნეობაა სიბრძნით სავსე,
რა სჯობია ძმურად ცხოვრებას
ნუ შეიქმნით ძალით საფრთხეს!

ავკაცობა არას გვარგებს
გაიწმინდეთ ბინდი თვალზე,
დააპურეთ უპოვარი
დააყენეთ ძწკანე გზაზე.

გაუფრთხილდით, რაც წმინდაა
გული ნუ გაქვთ ბოღმით სავსე
ძძიე ტკვირთი მოგშორდებათ,
ღიმილს მოჰფენთ სულსა, სახეს.

ძნელბედობას საშობლოში
ნუ დადგებით ხალხო, განზე,
შიშითა და გულგრილობით
გაუწბილებთ იქას გაძჩენს.

ვისაცა გსურთ ოაზისი –
სიყვარულის ხანა აღდგეს
შალომ აქეთ, შალომ იქეთ,
დავდგეთ ხალხო, უფლის გზაზე!

ლერი შიმშილაშვილის ხსოვნას

გარდაცვლილა ლერი შიმშილაშვილი.

ჭეშმარიტად გულითადი კაცი — სიმართლის მოყვარული, პატიოსანი პიროვნებისათვის დამახასიათებელი სამართლიანობის დამფასებელი. ადამიანი, რომლის სულშიც ისრაელის სიყვარული კოცონივით ენთო. მეცნიერი არ იყო, მაგრამ ზოგიერთ მეცნიერზე ნაკლებ არ იცოდა საქართველოს ისტორია. იცოდა და უყვარდა ეს ქვეყანა. ეს იმიტომ რომ წიგნიერი კაცი იყო. მისებრ წიგნის მოყვარული საქართველოში დარჩენილ ებრაელთა შორის ბევრი არ მეგულებოდა. საქართველოს ყოველი მხარე, მისი კუთხე-კუნჭული ხომ იცოდა და იცოდა!

გულით ქომაგობდა ქვეყანას, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა საქართველოს სამსახურად მიაჩნდა, რადგან მისი სიყვარულით იყო გამთბარი. მიაჩნდა, რომ საქვეყნო საქმეს აკეთებდა, ასეც იყო!

ერთობ გულმხურვალე კაცი იყო — უყვარდა მეგობარ-ამხანაგებთან ყოფნა, საზოგადო საქმის კეთება. ებრაელობის, ისრაელის სიყვარულს გულით ატარებდა თავისი ხელის ხუთი თითივით იცოდა თანამედროვე ისრაელის მიერ განვლილი გზა. სიონიზმის ისტორიაზე საათობით შეეძლო ესაუბრა.

მოკლედ, ისეთი კაცი იყო, ქვეყანას რომ სჭიროდა და ადგებოდა.

ოჯახიც ასეთი შექმნა — სტუმრის მოყვარული, მიმგებებელი. ისრაელელ სტუმრებს მის ოჯახში რა გამოლევდა — ისრაელის სიყვარულს მათს პატივისცემაში გამოხატავდა.

ქართველი ებრაელობისადმი თანადგომის სულისკვეთებამ შეაქმნევინა ქართველ ებრაელ ბიზნესმენთა კავშირი. სასიკეთო, ხალხისთვის სარგო საქმის კეთებას ეშურებოდა. კავშირის არც ერთი წევრის დაბადების დღე არ გამორჩებოდა — „მენორას“ ფურცლებიდან ულოცავდა.

რასაკვირველია, ასეთი კაცის საქართველოდან წასვლა დამენანა, მაგრამ საქართველოდან წასვლა რა მოსატანია — წუთისოფელი დატოვა.

გულსაკლავია, ნამდვილად გულსაკლავია, როცა ასეთი ადამიანები ტოვებენ წუთისოფელს.

ვაგლახ!.

გურამ ბათიაშვილი

სოსო აჯიაშვილი, რამინ იაკობაშვილი გამოსთქვამენ ღრმა გულისტკივილს
ლერი შიმშილაშვილის
გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ორი ერის სამსახურში გულდაფერფლილი

ვიოლეტა ბუზიაშვილის გარდაცვალების გამო

საქართველოში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა აწ უკვე მცირერიცხოვანმა დიასპორამ დიდი დანაკლისი განიცადა: ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების იმერეთის ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი და ამ საზოგადოების ჟურნალ „ნოსტალგიის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, „ღირსების ორდენის“ კავალერი, ცნობილი ჟურნალისტი და მეცნიერ-ქიმიკოსი, ქალბატონი ვიოლეტა ბუზიაშვილი.

იმ მრავალფეროვან და ფრიად წარმატებულ საზოგადოებრივ საქმეთა შორის, რომელსაც ქალბატონი ვიოლეტა აკეთებდა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ფასდაუდებლად მნიშვნელოვანი როლი ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა კიდევ უფრო მეტად განმტკიცების საქმეში. ამ თვალსაზრისით უაღრესად ფასეულია მისი ის წერილები, რომლებშიც ქართველი და ებრაელი ხალხების ძმობისა და მეგობრობის წარმომჩენი ეპიზოდებია მოთხრობილი. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ მართალი ადამიანური ემოციებით გაჯერებული ეს წერილები სავსებით სამართლიანად სარგებლობს ფართო მკითხველი საზოგადოების დიდი სიყვარულით.

ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიაში ქალბატონი ვიოლეტას მიერ შეტანილი წვლილის შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება ძალზე ფასეულ იმ როლსაც მინდა მივაქციო, რომელსაც იგი ბოლო წლების განმავლობაში ასრულებდა, როგორც საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების იმერეთის ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი და ჟურნალ „ნოსტალგიის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე.

ვიდრე ჟურნალისტიკაში მოვიდოდა, ქალბატონ ვიოლეტა ბუზიაშვილს უკვე ჰქონდა მოპოვებული საკმაოდ მნიშვნელოვანი წარმატებები ქიმიურ მეცნიერებაში. ამ დროისათვის ის მოსკოვში მოღვაწეობდა და სპეციალისტთა მიერ საკმაოდ პერსპექტიულ მკვლევრად იყო აღიარებული. ეს აღიარება შემთხვევით მოვლენას რომ არ წარმოადგენდა, ამას სამეცნიერო წრეებში იმხანად ფართოდ გახმაურებული მისი ნაშრომებიც ადასტურებდა.

მაგრამ ქალბატონი ვიოლეტას ცხოვრების გზა სულ მალე რადიკალურად შეიცვალა, რაც ორი არსებითად მნიშვნელოვანი ფაქტორით აღმოჩნდა განპირობებული — მშობლიურ ქუთაისში მარტოდ მყოფი დედის მიმართ პიროვნული მოვალეობის გრძნობითა და უმძაფრეს ნოსტალგიად გარდაქმნილი სიყვარულით ჩვენი ქვეყნისადმი.

და ქალბატონმა ვიოლეტამაც უყოყმანოდ თქვა უარი თავის სამომავლო სამეცნიერო კარიერაზე და მთელი თავისი შემდგომდროინდელი ცხოვრება ქუთაისს დაუკავშირა, სადაც მისი მოღვაწეობის უმთავრეს ასპარეზად ჟურნალისტიკა იქცა.

ამ დროიდან მოყოლებული, ვიოლეტა ბუზიაშვილის წერილები სისტემატურად იბეჭდებოდა არა მარტო ქართულ, არამედ რუსულ და ებრაულ პრესაში. მაღალი პროფესიონალიზმითა და სიტყვიერი ხელოვნებით გამორჩეულ ამ წერილებში ჩვენი ცხოვრების მრავალი პრობლემური და საჭირბოროტო საკითხია დასმულ-გაანალიზებული.

ძალიან სამწუხაროა და გულდასაწყვეტი, რომ საზოგადოებრივი აქტიურობით გამორჩეულ ამ ღირსეულ ქალბატონს ქართველი და ებრაელი ხალხების მეგობრულ ურთიერთობათა კიდევ უფრო ფართოდ წარმოსაჩენად ბევრი კეთილშობილური მიზანი და ჩანაფიქრი დარჩა ხორცშეუსხმელი.

ღმერთმა ნათელში დაამკვიდროს მისი სული!

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

გაზეთ „მენორას“ რედაქცია გამოთქვამს ღრმა გულისტკივილს ჩვენი გაზეთის ავტორის და მეგობრის, ამაგდარი ქალბატონის
ვიოლეტა ბუზიაშვილის
გარდაცვალების გამო.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 / მ-557
9771987898003